

პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 140 (12956) | ოთხშაბათი, 17 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

მკა გაჩაღდა

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. გელაშვილმა რედაქციას აცნობა, რომ წელს რაიონის მშრომელებმა თავთავიანი მარცვლეული კულტურები უნდა აიღონ 47.000 ჰექტარზე, აქედან ქერი — 5.000 ჰექტარზე. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხული არახელსაყრელი იყო მხვნელ-მთესველთათვის, ბევრგან მარცვლეულის უხვი მოსავალია მოსალოდნელი.

მოსავალს განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს ზემო მაჩხაანის, სოფელ ჯაფარიძის, წითელწყაროს ლენინის სახელობის, მაღაროს, ვაქირის და სხვა კოლმეურნეობებში. ისინი მოსავლის აღებისათვის ყოველმხრივ მზად არიან. ძველი ანაგის კოლმეურნეობაში ქერის მკა დაამთავრეს. მკა გააჩაღეს წნორის რუსთაველის სახელობის, ტიბაანის, ანაგის, ვაქირის კოლმეურნეობებში.

კიდევ რამდენიმე დღე, და ალაზნის ველზე და შირაქში მასობრივად გაჩაღდება პურეულის მკა. რაიონის მშრომელები პირობას იძლევიან მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ შემჯიდროებულ ვადებში და წელსაც ისახელონ თავი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის საქმეში.

ყანას შეუტიეს მინდვრის ხომალდებმა

ალაზნის ველ-მინდვრებზე მზე მაგრად აცხუნებს. პაპანაქებაა. ჯეჯილი დაპურებულა. ოქროსფრად ღელავს ხორბლის ყანები. ისინი მოუხმობენ მომკველებს. და აი მზით გარუჯული ვეტერანების დაკოფილი ღონიერი ხელები ჩასჭიდებია „ველის ხომალდებს“.

კომბაინები აგუგუნდნენ ყვარლის საწარმოო სამმართველოს ვარდისუბნის კოლმეურნეობაში. ეს სურათი . მაშინ გადაიღო „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა, როცა აქ პირველი ჰექტარები მომკეს და სასიხარულო შედეგიც მიიღეს. საშუალოდ ჰექტარზე გალეწილია 25 ცენტნერი ხორბალი.

გუშინ ყვარლიდან გვაცნობეს: 16 ივნისს ვარდისუბნის კოლმეურნეობაში აღებული მოსავლიდან საშუალოდ ჰექტარზე გალეწილია 30 ცენტნერი ხორბალი. სულ ასაღებია 700 ჰექტარი. კომბაინერები მ. მჭედლიძე, ა. კირვალაძე, ნ. ხარიაშვილი, ვ. არეგაძე, ა. ნადირაშვილი, ფ. ზუბენკო, ტრაქტორისტები ა. დათუაშვილი, დ. მაღარაშვილი პირობას იძლევიან მოსავალი 10 სამუშაო დღეში აიღონ. მოსავლის აღება დაიწყეს ყარსუბნის, ცოდნისგარის, კაბლის, ორჯონიკიძის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი დანიაში ჩავიდა

△ დანიის ნაპირებისაკენ. △ გულითადი შეხვედრა კოპენჰაგენში. △ ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ე. ო. კრაგს. △ საბჭოთა მეთაურმა გვირგვინით შეამკო დაღუპულ დანიელ პატრიოტთა ძეგლი. △ საბჭოთა პრემიერი ეწვია დედაქალაქის მუნიციპალიტეტს. △ დარბაზობა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

თბილისი „ბაშკირია“, 16 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საღამოს კოპენჰაგენში მიმავალმა თბილისელმა „ბაშკირიამ“, რომლითაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება დანიაში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ნაპირებს ჩაუარა. ნ. ს. ხრუშჩოვმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, რომლის ნაპირებს ჩაუარა „ბაშკირიამ“.

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. საკდესის კორესპონდენტები დ. ერშოვი და ი. კისელიოვი იუწყებიან:

დღეს თბილისელ „ბაშკირიით“ დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ. საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლავენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე რ. ნ. სიდაკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი.

ათასობით დანიელი მოვიდა კოპენჰაგენის ნავსადგურში, რომ მისალმებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს — დიადი საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელს, ქვეყნისა, რომელთანაც დანიას ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა აქვს. ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს, რომლებიც თბილისელ „ბაშკირიიდან“ გადმოვიდნენ კოპენჰაგენის ნავსადგურში, მთავრობისა და დანიელი ხალხის სახელით გულთბილად მიესალმა პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგი.

ე. ო. კრაგმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრის საზეიმო ცერემონია დამთავრდა. ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები, ე. ო. კრაგი და დანიის სხვა ოფიციალური პირები მანქანებში სხდებიან. კორტეჟი მიემართება ქალაქის ცენტრში ახალი ოცსართულიანი სასტუმრო „როიალისაკენ“, რომელიც იქნება საბჭოთა მთავრობის მეთაურის რეზიდენცია დანიაში მისი ოფიციალური ვიზიტის დროს.

დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ოფიციალური ვიზიტი სკანდინავიის ქვეყნებში.

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი დღის პირველ ნახევარში ეწვია დანიის პრემიერ-მინისტრს ენს ოტო კრაგს მის რეზიდენციაში — კრისტიანსბორგის სასახლეში.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ე. ო. კრაგს შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი.

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს გაემგზავრა მინელუნდის სასაფლაოზე, სადაც აღმართულია მეორე მსოფლიო ომის წლებში დაღუპულ დანიელ პატრიოტთა ძეგლი. ნ. ს. ხრუშჩოვმა ვარდების გვირგვინით შეამკო ძეგლის კვარცხლბეკი.

დანიელები ალტაცებით ხვდებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

კოპენჰაგენის ქუჩები, რომლებიც დაწყებულ ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით სსრ კავშირისა და დანიის ალმებით არის მორთული, გაჭედილია ხალხით. დანიელი ხალხი მხურვალედ მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვს.

კოპენჰაგენი, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია რატუშას, სადაც კოპენჰაგენის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ჰენრი სტეიერნკვისტმა საუზმე გამართა ნ. ს. ხრუშჩოვის, მისი მეუღლის და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად.

საუზმის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ჰ. სტეიერნკვისტმა სიტყვები წარმოთქვეს. საუზმეზე იყო დანიის პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგი მეუღლითურთ.

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. (საკდესი). დღეს საღამოს დანიის მთავრობამ რესტორან „ლანგელინიე-პავილიონენში“ გამართა დარბაზობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად.

16 ივნისი. ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი დანიაში. სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმება ე. ო. კრაგს.

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები

ბოლოს ამ ნომერში ვბეჭდავთ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილების ბოლო ნაწილს. ეს ადგილები ეკუთვნის ბაკურიანი, ბორჯომი, ბოსტანიერი, ბოსტანიერი, ბოსტანიერ

ჩვენი იდეური ცხოვრება

ახლა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, პარტია აუცილებელ პირობად თვლის, რომ მკვეთრად ამაღლდეს იდეოლოგიური მუშაობის დონე, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანის შეგნებულობა შეესაბამებოდეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებებს. პარტიის უპირველესი ამოცანაა აღზარდოს ყოველი საბჭოთა ადამიანი კომუნისტური იდეალებისა და მაღალი ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმი, რომელმაც განიხილა იდეოლოგიური საკითხები, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი პარტიისა და ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პლენუმის მუშაობამ თვალსაჩინოდ, რომ ეს ღონისძიება მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის პარტიის დაუღალავი ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურება იყო.

პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნამ საწარმოო პრინციპის მიხედვით უფრო დიდი შესაძლებლობები შექმნა მშრომელთა შორის იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის, მისი კონკრეტულობის, მიზანსწრაფულობისა და ქმედითობის გასაძლიერებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ გურჯაანის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, გარკვეული წარმატებები მოიპოვეს იდეოლოგიური მოღვაწეობის დარგში, მათ ეს მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირეს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, უფრო მრავალფეროვანი გახადეს მისი ფორმები და მეთოდები. მშრომელთა შორის მუშაობა სულ უფრო და უფრო იღებს კონკრეტულ, მიზანსწრაფულ ფორმასა და შინაარსს.

თვითეული მშრომელისათვის მიზანი ნათელი რომ ყოფილიყო, პირველ რიგში მთელი ყურადღება გადავიტანეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების შესწავლაზე. საამისოდ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად გამოიყენეს პარტიული კრებები, სააგიტაციო საუბრები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და ლექციათ-მოხსენებები. პლენუმის მასალების ფართო პროპაგანდის მიზნით საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა იდეოლოგიური მუშაობის კომისია, ხოლო იდეოლოგიურმა განყოფილებამ შეიმუშავა კონკრეტული გეგმა, რომელიც დაამტკიცა პარტიული კომიტეტის ბიურომ.

პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის შედეგებთან დაკავშირებით პარტიული კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილება ყოველ კვარტალში ერთხელ, რეგულარულად მართავს საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარს, რომელსაც პარტორგანიზაციის მდივნებთან ერთად ესწრებიან პროპაგანდისტები, პარტიული კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები.

ახლა, როგორც ივნისის პლენუმმა მიგვითითა, პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო შემოქმედებითად იყენებენ იდეოლოგიური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს. უდიდესი ყურადღება ექცევა ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის, აღზრდის საკითხებს. ეს კი ჩვენი იდეოლოგიური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

როგორც პრაქტიკამ თვალნათლივ დაგვანახვა, ახალი ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლაა კომუნისტური შრომის ბრიგადები, ამიტომ უკანასკნელ ხანს პარტიული ორგანიზაციები ყოველმხრივ ავითარებენ და ფართო გზას აძლევენ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას.

სოფელ შრომის საბჭოთა მეურნეობის № 11 ბრიგადას (ბრიგადირი მ. მარჩილაშვილი) მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი. ამჟამად კომუნისტური შრომის საპატიო სახელისათვის იბრძვის მუყუზნის, კარდანახის, შრომის საბჭოთა მეურნეობის სამი აგროგანყოფილება, 19 ბრიგადა, მეცხოველეობის ბევრი ფერმა. კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია 400-ზე მეტი მუშა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, ანალიზი გაუკეთა პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას, დადგენილებაში მთავარ ამოცანად მიიჩნია მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, საბჭოთა ადამიანის შეგნებასა და ყოფაქცევაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრა, კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლის შრომითი აღზრდა, ხალხის განათლებისა და კულტურის ამაღლება. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება პარტიამ მიანდო თვით ხალხს და განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, მუშაობენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პრესაში, სკოლებში...

საწარმოო სამმართველოში იდეოლოგიური აღზრდის საქმეს ემსახურება 20 ბიბლიოთეკა, 16 სასოფლო კლუბი, 5 კულტურის სახლი, 2 მუსიკალური სკოლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურის სახლთან უნივერსიტეტი, კულტურისა და დასვენების პარკი, 22 კინოთეატრი, 7 საკლუბო-კულტურული სახლი და კლუბი, 14 სტაციონალური და 6 მოძრავი კინოდანადგარი.

განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რაიონის ბიბლიოთეკეები და კულტურის სახლები. მაგალითად, მიმდინარე წელს რაიონულმა ბიბლიოთეკამ (გამგე გ. ჯორჯაძე) მომსახურეობა გაუწია 2.653 მკითხველს, რომლებზეც გაიცა 28.462 წიგნი. ბიბლიოთეკაში მოეწყო საინტერესო თემატური გამოფენები, იმართება მკითხველთა კონფერენციები, ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები.

კულტურის რაიონულმა სახლმა წელს 5 თვეში მომსახურება გაუწია 18.440 კაცს. მათ 16-ჯერ გამართეს თოჯინების თეატრის, ხოლო 18-ჯერ სახალხო თეატრის სპექტაკლები. გაიმართა მრავალი გასვლითი ლექციო-კონცერტი. კულტურის სახლში მოწყობილია თვალსაჩინო გამოფენები სხვადასხვა თემებზე. ამ ერთი თვის წინათ, თბილისში, ქართული თოჯინების თვითმოქმედი თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, გურჯაანის თოჯინების თეატრმა მაღალი შეფასება დაიმსახურა, მოიპოვა პირველი ადგილი და პირველი ხარისხის დიპლომი.

სოფელ ჩუმლაყის კულტურის სახლი ჩაბმულია მიმდინარე წლის მარტში დაწყებულ საკავშირო საკლუბო დაწესებულებების ურთიერთ გამოძახილში, კერძოდ, ამ გამოძახილის ინიციატორთან — უსტლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „უუბანის“ კლუბთან. ყველფფერს ეკეთებთ იმისათვის, რომ ამ ურთიერთგამოძახებაში ჩუმლაყის კულტურის სახლმა საპატიო ადგილი დიაკავოს.

ბევრ სახარგებლო ღონისძიებას ახორციელებენ რაიონის პოლიტიკური განათლების კაბინეტები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. ისინი რეგულარულად მართავენ თეორიულ კონფერენციებს თემებზე: „კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსი“, „მასების შრომითი აღზრდა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი“, „ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა“ და სხვ. კაბინეტები აწყობენ თემატურ და კითხვა-პასუხის საღამოებს, მოწყობილია ავრეთვე მოწინავე იდეოლოგიური მუშაკების ფოტოსტენდები, თემატური გამოფენები და იდეოლოგიური მუშაობის კუთხეები.

საწარმოო სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციებს სააგიტაციო მუშაობის უპირველეს ამოცანად დასახული აქვთ მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდა შრომითი გმირობის საუკეთესო მაგალითებზე, სოციალისტური შრომის გმირების, კომუნისტური შრომის ბრიგადების, დამკვრელების გამოცდილების ფართო პროპაგანდა და გავრცელება.

ამჟამად საწარმოო სამმართველოში სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა ათასზე მეტი აგიტატორი, რომელთა დიდი უმრავლესობა მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საპატიო მოვალეობას. ისინი სისტემატურად, ღრმა შინაარსიანად განუმარტავენ სოფლის მეურნეობის მშრომელებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს.

აგიტატორთა თეორიული მომზადებისა და მათი დახელოვნების მიზნით შექმნილია 25 აგიტკოლექტივი, რომელთაგან ქების ღირსი არიან ვაზისუბნის, ველისციხის, კაკრეთის კოლმეურნეობების, კარდანახისა და შრომის საბჭოთა მეურნეობების აგიტკოლექტივები.

მასებში იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ლექციური პროპაგანდა. ამ საქმეს ემსახურება პარტიული კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი, რომლის ძალებით წელს 5 თვის განმავლობაში წაკითხულია 130-მდე ლექციათ-მოხსენება.

ივნისის პლენუმის შემდეგ აღზრდის საკითხებზე ადგილობრივი რადიოგადაცემების საშუალებით მოეწყო 200-ზე მეტი გადაცემა. გადაცემებში მონაწილეობენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და საბჭოთა მუშაკები. კოლმეურნეებმა არაერთხელ დიდი ინტერესით მოისმინეს პლენუმის მონაწილის, შაშიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. არევაძის საუბარი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგრეთვე რაიონის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებულია 146 მსმენელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ მნიშვნელოვნად ამაღლდა პოლიტიკური სწავლების დონე. პოლიტიკური სწავლებაში თეორიული მომზადების დონეს ამაღლებს 2.000-მდე კომუნისტი და 1.000-ზე მეტი უპარტიო. მათი დიდი ნაწილი ჩაბმულია პოლიტსკოლებში, წრეებსა და თეორიულ სემინარებში. 500-მდე კომუნისტი ინდივიდუალური გეგმის მიხედვით დამოუკიდებლად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების ეკონომიურ სწავლებას. შექმნილია ეკონომიური სწავლების 30-მდე წრე და თეორიული სემინარი. პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით ხშირად იმართება თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული ეკონომიის შესწავლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას, შრომითი შედეგების გამრავლებას ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილება, რომელშიც გაერთიანებულია 18 ჯგუფი. საზოგადოების ხაზით მუშაობს 160 ლექტორი, რომელთა მიერ დღემდე უკვე წაკითხულია 900-მდე ლექცია.

წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ათეისტურ პროპაგანდას. ამ თემაზე წაკითხული ლექციების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაგადიდეთ. პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა ათეისტური მუშაობის საბჭო, რომელიც ყველა სოფელში ახორციელებს ათეისტური აღზრდის სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებს.

იდეოლოგიური მუშაობის ყოველგვარი ფორმების შემდგომ განვითარებაზე, სააგიტაციო და ლექციური პროპაგანდის შინაარსის გაუმჯობესებაზე რომ ვლაპარაკობთ, აუცილებლად მხედველობაში გვაქვს, რომ თვითეული აგიტატორის და ლექტორის საუბარი დაკავშირებულია ჩვენი მოსახლეობის შრომითი აქტივობის ამაღლებასთან. ყოველი ლექცია და საუბარი ემსახურება შრომითი შედეგების ზრდას, წარმოების გაფართოებას, შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეული ბრძოლის შედეგების სიკეთე ჩვენმა მშრომელებმა იგრძნეს ჯერ კიდევ გასულ სამეურნეო წელს. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და დამზადების გეგმები თითქმის ყველა დარგში გადაჭარბებით შესრულდა.

ამჟამადაც, პრაქტიკულად ახორციელებენ რა ივნისის, დეკემბრის და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციები რაზმავენ მასებს, რომ კიდევ უფრო მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით დავამთავროთ მიმდინარე სამეურნეო წელი.

ვათვალისწინებული იყო საგაზაფხულო თესვა ჩაგვეტარებინა 4.220 ჰექტარზე, საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში კი საგაზაფხულო კულტურებით დათესეს 5.873 ჰექტარი. მარტო სიმინდი ნაცვლად 2.694 ჰექტარისა 3.349 ჰექტარზე დათესეს, მზესუნაბერა—711 ჰექტარის ნაცვლად 1020 ჰექტარზე. ამჟამად სიმინდის ნათესებში უკვე დამთავრებულია პირველი და მეორე კულტივაცია, დასასრულს უახლოვდება თოხნა. მინდვრად უკვე გატანილია 17.705 ტონა მინერალური და 13.385 ტონა ორგანული სასუქები.

საუკეთესოდ დავამუშავეთ ჩვენი ბაღ-ვენახები. დღეისათვის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ზვრებში ჩატარებულია შაბიამნის ხსნარით შესხურება 4-ჯერ, გოგირდის შეფრქვევა 3-ჯერ, შესრულებულია ყველა სახის მწვანე ოპერაციები.

ვენახებს გურჯაანელი მშრომელები ზრუნვას არ მოაკლებენ, და მიმდინარე წლის შემოდგომაზე რამდენიმე ათეული ათას ტონა უურძენს ჩავაბარებთ სახელმწიფოს მარნებს.

სრულ სიმწიფეში შედის ყვითელი ოქრო, ბარაქიან ალაზნის ველზე ამლოდება მოსავლის აღების დიდმნიშვნელოვანი კამპანია. წელს საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორბალი უნდა ავიღოთ 7.600 ჰექტარზე, ხოლო ქერი — 1.794 ჰექტარზე. ადრეული ზრუნვეს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა. ამჟამად გამზადებულია მოსავლის ასაღები ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, შექმნილია საჭირო პირობები, რომ უმოკლეს დროში და უდანაკარგოდ ავიღოთ მარცვლეულის მოსავალი. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ ქერის მკა დაიწყო. ეანდრის კოლმეურნეობამ ქერი უკვე 8 ჰექტარზე მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 27 ცენტნერი მარცვალი მიიღო. პირველი შედეგები სრულ იმედს გვაძლევს, რომ წელს კარგ მოსავალს მივიღებთ.

ყველგან — მიდგრად მოგუგუნებე აგრეგატებზე თუ ვაზის მწკრივებში, მეცხოველეობის ფერმებსა და საწარმოო ბრიგადებში ახალი ძალით გაჩაღებულია მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა. პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ამდიდრებენ ამ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ეძებენ ახალს, გზადაგზა ასწორებენ ნაკლოვანებებს, რომ უფრო ძლიერად ჩქეფდეს ჩვენი იდეური ცხოვრება.

გ. აზაურაშვილი,
გურჯაანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ერთ კონფერენციაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების შემდეგ საჩხერის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოდაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა. პარტიული და კომკავშირული განათლების მთელი სისტემა გადაყვანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების მასალების შესწავლაზე. პარტიული კომიტეტის ლექტორები, მომხსენებელთა ჯგუფისა და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების წევრები მშრომელთა წინაშე რეგულარულად გამოდიან საინტერესო ლექციათ-მოხსენებებით. უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე მარტო საზოგადოება „ცოდნას“ ძალებით წაკითხულ იქნა 600-ზე მეტი ლექცია და მოხსენება. ეწყობა ინდივიდუალური კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები.

ამ დღეებში პარტიული კომიტეტის იდეოლოგიურმა განყოფილებამ და საზოგადოება „ცოდნას“ რაიონული განყოფილების გამგეობამ პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის სხდომათა დარბაზში მოაწყეს თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი სკკპ ბრძოლისადმი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემჭიდროებისათვის. კონფერენციას 300-ზე მეტი აქტივისტი დაესწრო.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილის, იდეოლოგიური განყოფილების გამგის ი. გოგაბიშვილისა — „საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“, პარტიული კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ინსტრუქტორის ა. ლომიძისა — „სკკპ ყრილობა სოციალიზმში გადასვლის ფორმების შესახებ“; ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ტ. აბრამიშვილისა — „სკკპ პროგნების კულტისა და მისი მავნე შედეგების დაძლევის შესახებ“.

კონფერენციამ მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა.

შ. ᲘᲜᲘᲨᲝᲠᲘᲐ,
საჩხერის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი.

ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲪᲐᲒᲔᲠᲘ. (საკ. კორ.). ცაგერის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების დასახმარებლად გამართა თათბირ-სემინარი.

დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“, „პარტიული კრებების მომზადება და ჩატარება“, „პარტიაში მიღება და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა“.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის საკუთარი გამოცდილება.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲨᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). კარგი ტრადიცია დამკვიდრდა კალინინის სახელობის მაღაროში. პარტიული ორგანიზაციის თაოსნობით აქ ყოველ სამშაბათობით იმართება პოლიტინფორმაციის დღე. სამუშაოზე გასვლის წინ მაღაროელებს ესაუბრებიან უკანასკნელი კვირაში მსოფლიოში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ამბებზე, რაც მაღაროელთა დიდ ინტერესს იწვევს.

პოლიტინფორმაციებით ხშირად გამოდიან პარტბიუროს მდივანი ა. კავთელაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე დ. კახნიაშვილი, პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე შ. მაჭარაშვილი.

ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გაიმართა რაიონის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ლექტორ-მასწავლებელთა თათბირი.

მოხსენება თემაზე — „საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების სწავლება და ახალგაზრდობაში კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირების ამოცანები“, გააკეთა პოლიტეკონომიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე ს. სიმონგულოვმა.

სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების კათედრების გამგეები ნ. პაიჭაძე, ა. ქუთელია, ს. სიგუა, ვ. ონიანი, ვ. სიგუა, დოცენტები ზ. სირაძე და მ. მაჩაიძე, პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი კ. ჭანკვალიშვილი.

სემინარი ᲐᲗᲔᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

ᲐᲛ დღეებში საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომმა და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა განყოფილებამ მოაწყეს სემინარი ათეისტური აღზრდის საკითხებზე. სემინარს ესწრებოდნენ რაიონის პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები.

სემინარზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „სკკპ XXII ყრილობა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ამოცანების შესახებ“; „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის წარმოშობისა და მისი რეაქციული არსის შესახებ“; „მშრომელთა კომუნისტური აღზრდა და თანამედროვე ეტაპზე რელიგიური ცრურმორწმუნეობის დაძლევის გზები“; „მეცნიერება და რელიგია“; „რელიგიისა და რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ ბრძოლის ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში“.

მოხსენებებით გამოვიდნენ საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების თავმჯდომარე რ. კურტანიძე, მასწავლებლები შ. ამაშუკელი, ვ. ალხაზიშვილი, ე. ბიძინაშვილი და სხვ.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის მოადგილე შ. რობაქიძე.

Ჯ. ᲡᲐᲮᲒᲐᲫᲔ.

ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲔᲜ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სულ მალე მწყობრში ჩადგება სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პირველი ობიექტი — საწყისი ქვესადგური თბილისის ყოველმხრივ მზად არის — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულებულია მაღალხარისხოვნად, მაგრამ აქა-იქ მაინც შესამჩნევია დეფექტები. უნდა შეიცვალოს ერთი ტრანსპორტიორი, რომელიც მშენებლობის პროცესში დაიკარგა. ამის წინააღმდეგი არავინ არის. „კველექტრომონტაჟის“ სამმართველოს ხელმძღვანელობა (უფროსი ი. მაკოტრჩენკო) ამბობს, რომ თუ დამკვეთი — სინთეზური ბოჭკოს ქარხნის ხელმძღვანელები (გ. ბარამიძე, ა. შათირიშვილი) ახალ ტრანსპორტიორს სასწრაფოდ მისცემენ, რამდენიმე დღეში დაამონტაჟებს მას. მაშასადამე, სიტყვა ამჯერად დამკვეთს ეკუთვნის.

დამკვეთი კანონიერ პრეტენზიას უყენებს „კველექტრომონტაჟის“ სამმართველო იმის გამოც, რომ პირველმა იგი დაგვიანებით უბრუნვილყო რელეური ფარით და ტრანსფორმატორის ზეთით.

ყოველივე ეს თითქოს წვრილმანია, მაგრამ საბოლოო ანგარიშით აგვიანებს ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემას.

ამოქმედებისათვის მეორე რიგში დგას რეგენერაციის საამქრო. ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები აქაც დამთავრებულია. ამჟამად საიზოლაციო სამუშაოები მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ „თერმოიზოლაციის“ სამმართველო (უფროსი ა. გიორგიევი) დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა აპარატურათა ფორნტს და შედარებით მოკლე დროში შეძლო ძირითად სამუშაოთა დამთავრება, თუმცა ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მე-12 ნიშნულის საფერმიოზოლაციო სამუშაოები.

განსაკუთრებით დიდი ამოცანები აქვს დაკისრებული სპეციმშენის სამმართველოს (უფროსი დ. ცერცვაძე). სამმართველოს კოლექტივი ახლა ძალების მობილიზაციას ახდენს, რომ განრიგით გათვალისწინებულ დროში დაამთავროს გამოყენებული და იატაკის დაგების სამუშაოები.

საამქროს საექსპლოატაციოდ მომზადებას ერთგვაროვად აფერხებს ის, რომ ქარხანას ჯერ არ მიუცია მომონტაჟეებისათვის ლაბორატორიის დანადგარები. ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა ჰქონდათ ამას წინათ ოპერატიულ თათბირზე. გამოსავალიც მოინახა. ქარხანა ამ დღეებში უბრუნველყოფს მომონტაჟეებს აღნიშნული დანადგარებით.

დაჩქარებულ ტემპს მოითხოვს სიგნალიზაციის სამუშაოები. სამართლიანობა გვიკარნახებს აღვნიშნოთ, რომ „პრომსვიაზმონტაჟის“ სამმართველოს კოლექტივი (უფროსი გ. ხიდაშელი) სერიოზულად მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩენილი სამუშაოები საამქროს მშენებლობის გაჭიანურებას იწვევს.

სამაცივრო-საკომპრესორო საადგური ერთ-ერთი წამყვანი ობიექტია მშენებლობაზე. აქ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები საკმაო ხანია დამთავრდა, მაგრამ საექსპლოატაციოდ გადაცემას ის აფერხებს, რომ დამკვეთს ჯერ კიდევ არ მიუცია მემონტაჟეებისათვის ორი საორთქლებელი და ორი საკომპრესორო მოწყობილობა.

„სინთეზმშენის“ სამმართველომ (უფროსი ი. გუმბერიძე, შთავარი ინჟინერი ი. არობელიძე) მოკლე დროში უნდა დაამთავროს საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისათვის საჭირო შენობის აგება. ეს კი საშუალებას მისცემს „იუვმონტაჟაკუტომატიკის“ სამმართველოს (უფროსი ი. ქოჩიაშვილი) ფართო ფრონტით გაშალოს სამუშაოები.

და მაინც ყურადღების ცენტრი ამჟამად გადატანილ უნდა იქნას მთავარი კორპუსის მშენებლობაზე. აქ სართავ საამქროში უკვე დაამთავრეს საიზოლაციო სამუშაოები, ამჟამად წარმოებს მოწყობილობათა საძირკვლის გაჭრა. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოები გაუჭიანურდა სინთეზმშენის სამმართველოს. ჯერ კიდევ 25 მაისისათვის უნდა დაემთავრებინა იატაკების დაგება. გაჭიანურება გამოწვეული იყო მშენებლებსა და დამკვეთს შორის შეუთანხმებლობით. კამათი გამოიწვია იმან, ჯერ იატაკი დაგეგოთ თუ სამირკველი გაეჭრათ. ბოლოს როგორც იქნა მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ ძვირფასი დრო დაიკარგა და დანადგარების მონტაჟი გაჭიანურდა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲒᲝᲒᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ). კვირას, 14 ივნისს ამერიკაკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეორე ინდუსტრიული ცენტრების ქუთაისის, ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების 15 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად ქუთაისს ეწვივნენ ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელთა დელეგაციები.

ქალაქის მშრომელებმა გუთბილი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს. ლენინაკანის მშრომელთა დელეგაციას ხელმძღვანელობს სომხეთის კომპარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ლარიბჯანიანი, ხოლო კიროვაბადის დელეგაციას — აზერბაიჯანის კომპარტიის კიროვაბადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ბაბიროვი.

15 ივნისს სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. საღამოს სახელმწიფო თეატრში გაიმართა სამი ქალაქის ტრადიციული შეჯიბრების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა წარმომადგენლების კრება.

ლენინაკანელი და კიროვაბადელი სტუმრები ქუთაისში რამდენიმე დღეს დარჩებიან. ისინი გაეცნობიან პარტიული და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობას, სამრეწველო საწარმოების მუშაობას, მოწინავე ადამიანთა გამოცდილებას, ერთმანეთს გაუზიარებენ შთაბეჭდილებას.

ქუთაისის, ლენინაკანის და კიროვაბადის მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება წლითიწლობით სულ უფრო განამტკიცებს ამერიკავკასიის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲐᲙᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲠᲝᲕᲐᲑᲐᲓᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

„მოუარე და დაამშვენე შენი სოფელი, კარ-მიდამო“ — ამ მოწოდებით მიმართოეს რაიონის ყველა მშრომელს საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საბჭოს მესამე სესიის მონაწილეებმა.

ჩვენ, ხაშურის საქ

დანია ეგებგება ძვირფას სტუმარს

ერჰარდი ატომს ეთამაშება

ვინ მოკლა ჯონ კენედი?

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

კოპენჰაგენი, 16 ივნისი (საკდესი). „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ნიკიტა ხრუშჩოვ!" — ამ სიტყვებით დანიურ და რუსულ ენებზე იწყება დანიის კომპარტიის გაზეთის „ლანდ ოგ ფოლკის" დღევანდელი ნომერი. გაზეთის პირველ გვერდზეა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ჰერლუფ ბიდსტრუპის დიდი ნახატი— დანიელები ხვდებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს, რომელიც დღეს დანიაში ჩამოდის. მათს თავზე გამოსახულია სხრ კავშირისა და დანიის ალმები, მშვიდობის მტრედი და წარწერა დანიურ და რუსულ ენებზე: „მშვიდობისა და მეგობრობისათვის".

გაზეთის პირველ გვერდზე რუსულ და დანიურ ენებზე დაბეჭდილია სხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი დანიელი მუშების, კომუნისტებისა და გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკის" თანამშრომლების მისალმება. მისალმებაში ნათქვამია:

დანიელი ხალხი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დღეს პირველად ეგებება საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელს. ჩვენს ქვეყანაში მას გულთბილად შეხვდებიან და ეს მოგზაურობა, უეჭველად, ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება.

ნიკიტა ხრუშჩოვი აქ ჩამოდის, როგორც მსოფლიო პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი. ეყრდნობა რა მთელი მსოფლიოს სოციალისტების მხარდაჭერას, იგი დიდი ენერგიით, მტკიცედ იბრძვის ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობისათვის.

ნიკიტა ხრუშჩოვი სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

დანიელი მუშები, დანიელი კომუნისტები და გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი" ამხანაგურ სალამს უძღვნიან ნიკიტა ხრუშჩოვს და მეგობრულად მიესალმებიან მას ჩვენს მიწა-წყალზე.

პოლონეთის კომუნისტთა ყრილობა

ვარშავა, 16 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IV ყრილობაზე დღეს დაიწყო კამათი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის საანგარიშო მოხსენებისა და 1966-1970 წლების პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დირექტივების გამო. მიმდინარეობს დიდი პარტიული სჯა-ბაასი პოლონეთის სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების გზებისა და სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების შესახებ.

კამათში პირველი გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის კატოვიცის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გერეკი.

ყრილობის თავმჯდომარე შემდეგ სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. ვ. პოდგორნის.

ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან. გაისმის ხანგრძლივი ტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, მთელი პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით ნ. ვ. პოდგორნინმ საბჭოთა კავშირის ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ ფუძეზე გადაყვანის

... და ხელოვნება

ქართული პოეტის მეგობრები

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი კიროვაბადში

ამ დღეებში ქ. კიროვაბადში (ყოფილი განჯა, აზერბაიჯანის სსრ) გაიხსნა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი. მუზეუმი მოწყობილია იმ სახლში, სადაც პოეტი ცხოვრობდა (1844-45 წლებში) და გარდაიცვალა.

მომზე აზერბაიჯანელი ხალხის ამ კეთილშობილურ თაოსნობას—ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნას საზოგადოებრივ საწყისებზე — დიდი კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის კოლექტივი.

ლიტერატურულმა მუზეუმმა შეადგინა ახალი სახლ-მუზეუმის გამოფენის თემატურ-საექსპოზიციო გეგმა, რომლის მიხედვით შეირჩა და დამზადდა ფოტორეპროდუქციები გამოფენისათვის, საჭირო ექსპონატებისა, 60 ცალამდე.

მასალებს გაუკეთდა სათანადო წარწერები და უსასყიდლოდ გადაეცა კიროვაბადის საქალაქო კულტურის განყოფილებას. ექსპონატებს შორის არის ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი (მხატვარი ლადო გუდიაშვილი); „ნიკოლოზ ბარათაშვილი მანანაზე“ (მხატვარი ელენე ახვლედიანი), ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლი — სოფელი ბარათაშვილის, პოეტის ბიძის — გრიგოლ ორბელიანის, მეგობრებისა და ნათესავების — მაიკო ორბელიანის, მართა სოლოდოვაშვილის, ეკატერინე ჭავჭავაძის, ვახტანგ ორბელიანის პორტრეტები. აგრეთვე მხატვარ გაგარინის სურათები.

11 ივნისს პოეტის სახლ-მუზეუმი ინახულეს მხატვრმა-აკადემიკოსებმა ვ. სეროვმა, ნ. ფუკოვმა, უ. ჯაფარიოვმა, ი. რომასოვმა, ს. ორლოვმა, ვ. ციგალმა, დ. ნალბანდიანმა, რომლებიც სტუმრად იმყოფებოდნენ აზერბაიჯანში.

კიროვაბადში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა ერთი მშვენიერი ფურცელია ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ტრადიციული ძმობისა და მეგობრობისა.

დ. ფულლიაშვილი.

გულით მოელიან თბილისელები

20 ივნისს თბილისში გასტროლებს იწყებს მახარაძის სახელმწიფო თეატრი

მოვიდა ზაფხული — თეატრალური კოლექტივების საგასტროლო მოგზაურობათა დრო. მალე დედაქალაქის თეატრები დახურავენ სეზონს და თავიანთ შემოქმედებას უჩვენებენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელებს, ხოლო ოპერისა და ბალეტის თეატრი მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართავს სპექტაკლებს.

წლევანდელი საგასტროლო სეზონის მნიშვნელოვანი მოვლენაა მოსკოვის მცირე თეატრის სტუმრობა თბილისში. ჩვენი დედაქალაქის მშრომელები ინტერესით მოელიან რესპუბლიკის თეატრებსაც. მათ შორის ერთ-ერთი პირველი გვიწვევს მახარაძის სახელმწიფო თეატრი, რომელიც 20-დან 30 ივნისამდე სპექტაკლებს გამართავს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

მახარაძის თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. ნაკაიძემ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— ჩვენი თეატრის კოლექტივი თბილისში მეორედ ჩამოდის საგასტროლოდ. პირველად 1958 წელს ვიყავით. ახლანდელი სპექტაკლები, რომლებსაც თბილისელები ნახავენ, უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაშია განხორციელებული.

საგასტროლო რეპერტუარში გვაქვს ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ (რეჟისორი ლ. პაქსაშვილი), დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ა. ფურცელაძის „მაცი ხვიტია“ (ორივე სპექტაკლის რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლაღიძე), ვ. როზოვის „ეახშმობის წინ“ (რეჟისორი ლ. პაქსაშვილი), ი. ვაკელის „ალპაკუნე“ (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რეჟისორი გ. ჟურულის დადგმით), მ. ჯაფარიძის „უსაშველო მაშვლები“ (რეჟისორი ბ. ნაკაიძე), ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ (რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე).

ჩვენი თეატრის მთავარი რეჟისორია თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ლ. პაქსაშვილი. სპექტაკლებში უფროსი თაობის მსახიობებთან ერთად გამოდიან ნიჭიერი ახალგაზრდებიც.

თბილისში გასტროლების დამთავრების შემდეგ სპექტაკლებს გავმართავთ პიათიგორსა და ტყიბულში.

დიდ წარმატებებს აღწევენ საჩხერის საწარმოო სამმართველოს საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები. ფერმის მუშაკებმა თავი ისახელეს ძროხების მოვლა-პატრონობაში, რამაც დიდად გაადიდა წველადობა.

მწყემსებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი შრომისათვის. ფერმასთან აშენებულია საცხოვრებელი სახლები. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მეცხოველეთათ საცხოვრებელ ბინებს, რომლებიც მშვენიერი ბუნების წიაღში აუგიათ.

ფოტო ბ. დადვაძისა.

შემთხვევები

ორთაბრძოლა ავტომანქანაში

ბზაბკაციილზე დიდი სისწრაფით ორი ავტომანქანა მიჰქროდა, მაგრამ პატარა ავტომანქანა „გზი“ დაეწია თვითმცლელს. ციხფერფორმიანი კაცი მარჯვედ ახტა სატვირთო ავტომანქანის ძარაში, რამდენიმე წამის შემდეგ კი მანქანაში დაიწყო ორთაბრძოლა...

ეს მოხდა სახელმწიფო საზღვრის მახლობლად. დილაადრიან სერიოჟა ვართანიანი ეჩმიაძინის მილიციის განყოფილების მილიციელი შოფერი ცვლას აბარებდა მეწყვილეს. ამ დროს მილიციის მორიგესთან მივიდნენ შეშფოთებული კოლმეურნენი, მათ აუწყეს, რომ ვიღაც უცნობმა იარაღის ძალით წაართვა თვითმცლელი და გაიქცა.

ვართანიანმა სწრაფად მომართა თავისი მანქანა და თან გაიყოლა მეწყვილე ედიკ ვართანიანიც. ისინი ბანდიტს გამოუდგნენ. როცა სერიოჟა ვართანიანი სატვირთო ავტომანქანას დაეწია და მოსთხოვა მანქანის შეჩერება, პასუხად სროლა გაისმა. მამაცმა მილიციელმა სჯე მეწყვილეს გადასცა და თვითონ კი თვითმცლელის ძარაში გადახტა. მილიციელის ყურთან ტყვიები ზუზუნებდნენ, სწრაფი ხვლისაგან შეუძლებელი იყო ფეხზე დადგომა. სერიოჟა მიცოცდა კაბინამდე. მან დამნაშავეს იარაღი დაუგდებინა. ამ დროისათვის მიუსწრო კიდეც მილიციის ოპერატიულმა ჯგუფმა. შეპყრობილი საშში რეციდივისტი აღმოჩნდა.

სერიოჟა ვართანიანი დაჯილდოებულია მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჩინებული სამსახურისათვის“. მის მამაცობას მიეძღვნა ლამაზად გაფორმებული პლაკატი, რომელიც ხომხეთის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ გამოუშვა.

რ. კარაგიოზიანი,
(საკადესის კორ.).

ერევანი.

... ქალაქ ზესტაფონში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომმა ამ დღეებში მოიწვიეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის **უშანგი ჩხეიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

უშანგი ჩხეიძის საიუბილეო საღამო

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. მან წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება **ზესტაფონის სახალხო თეატრისათვის უშანგი ჩხეიძის სახელის მიკუთვნების შესახებ**, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მოხსენება უშანგი ჩხეიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ყიფშიძემ.

მისასალმებელი სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. კვანტალიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტ. საყვარელიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ეგაძე, თეატრმცოდნე, პროფესორი დ. ჯანელიძე, უშანგის და, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ნ. ჩხეიძე, ზესტაფონის ეუბციესი მსახიობი ქალი ფ. არაბიძე, ქალაქის №-3 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შ. ჯეტენაძე, უშანგის ახლო ნათესავი, მასწავლებელი მ. ჩხეიძე-ხუსკივაძე, საქართველოს ალკა ზესტაფონის სამრეწველო საწარმოო კომიტეტის მდივანი რ. შერგილაშვილი და სხვ.

უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ზესტაფონის რკინიგზის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ დ. უფლისაშვილმა.

ა. ფოცხვერაშვილი.

საგასტროლოდ აფხაზეთში

სოხუმი. (საკ. კორ.). **აფხაზეთში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი. იგი სპექტაკლებს დადგამს სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. გარდა ამისა, თეატრი გასტროლების პერიოდში მომსახურებას გაუწევს ახლომდებარე საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, გამართავს წარმოდგენებს გალში, ოჩამჩირეში, გუდაუთში და სხვაგან.**

კეთილი სტუმარი

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე დღეს სტუმრად იყო ჩეხი ქართველოლოგი და მთარგმნელი ივო ვაცულინი. ვაცულინი ეკუთვნის იმ ჩეხოსლოვაკიელ ქართველოლოგთა რიცხვს, რომლებიც პროფესორმა იარმირ იედლიჩკამ აღზარდა.

ჩვენი სტუმარი თბილისში დარჩა 11 ივნისამდე. ამ ხნის განმავლობაში იგი შეხვდა და ესაუბრა ქართველ მწერლებს, ჟურნალისტებსა და გამომცემლობათა მუშაკებს.

ჩეხი ქართველოლოგი ესტუმრა ჩვენს უძველეს დედაქალაქს მცხეთას, გაისეირნა საქართველოს სამხედრო გზით ჯვრის უღელტეხილამდე, სადაც გზად ინახულა ანანური და ფასანაური. იყო აგრეთვე თელავში და დაათვალიერა კახეთის გული ღირსშესანიშნაობანი.

ნ. ჩხეიძე.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

ბადრაკი. **გუშინ ამსტერდამის საზონთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა მეოცე ტური. ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერების — სპასკისა და ლარსენის პარტიები ივკოვთან და ტალთან. მოწინააღმდეგეებმა თავი აარიდეს ზედმეტ რისკს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა რეშევსკი-ფოგელმანის, ევანს-პახმანის და დარგა-ტრინგოვიჩის პარტიები. პორტიშმა მოუგო ბენკოს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. სმისლოვს ვრანეშიჩთან მოსაგები პოზიცია აქვს, შტეინს — როსეტოსთან. კვინონეს-ბრონშტეინის პარტიაში პოზიცია დაახლოებით თანაბარია.**

ოცი ტურის შემდეგ სპასკისა და ლარსენს თხუთმეტნახევარი ქულა აქვს თვითეულს.

ფეხბურთი. პოლონეთში ამხანაგური მატჩების გასამართავად მიემგზავრება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. თბილისის „დინამო“ პოლონეთს პირველად 1951 წელს ეწვია. მაშინ დინამოელებმა სძლიეს „გურნიკს“ (4:0), ცვკ-ს (2:0), „გვარდიას“ (3:0) და ფრედ (1:1) დაამთავრეს მატჩი „უნიასთან“.

ახლა თბილისელთა მეტოქენი იქნებიან კრაკოვის „ვისლა“, (21 ივნისს), ვარშავის „გვარდია“ (24 ივნისს) და შტეტინის „არკონია“ (26 ივნისს).

პოლონური პრესა დიდ ყურადღებას უთმობს თბილისის „დინამოს“ მომავალ თამაშებს. ვარშავის სპორტული გაზეთი „შპეგლონენ სპორტივა“ აღწერს თბილისელთა მდგომარეობას საკავშირო ჩემპიონატში და დასძენს, რომ პოლონეთში „კარგად ახსოვთ „ოოოლობერიძისა და ანთაძის გუნდი“, რომელმაც 13 წლის წინათ გულშემატკივართა სიმპათია და სპეციალისტთა აღიარება დაიმსახურეს.

ჩოგბურთი. **ინგლისის საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მოსწავლე ალა ივანოვა, რომელმაც გაიმარჯვა ორ შეჯიბრებაში — გოგონათა და ქალთა ტურნირში. ფინალში მან დაამარცხა ინგლისელი ა. სუოდი და ა. ფრეზერ-ბლეკი.**

... ევროპის თასზე

დღეს მადრიდსა და ბარსელონაში

დღეს მადრიდსა და ბარსელონაში იწყება ევროპის თასის გათამაშების ფინალი ფეხბურთში.

1960 წელს ევროპის თასის მოპოვება საბჭოთა კავშირის ნაკრებისათვის უდიდესი გამარჯვება იყო, რადგან ეს შეჯიბრება თავისი მნიშვნელობით მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატს ჩამოუვარდება. ახლა საბჭოთა ფეხბურთელები დგანან ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანის წინაშე — დაიცვან თავიანთი მონაპოვარი. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1960 წლის ოთხი ფინალისტიდან მხოლოდ საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიპოვეს დასკვნით თამაშებში მონაწილეობის უფლება. იუგოსლავიელები ბრძოლას გამოეთიშნენ შვედებთან დამარცხების შემდეგ, ფრანგებს ფარხმალი დააყრევინეს უნგრელებმა, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებს მოულოდნელად სძლია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა.

ახლანდელი ფინალისტები დასკვნითს თამაშებამდე სულ სხვადასხვა გზით მივიდნენ. დანიელებს ამკარად უციმოდათ სატურნირო ბედი, „ბრმა“ წილისყრამ ისინი ჯერ მალტელებს შეაბედერა, შემდეგ ლუქსემბურგელებს. დიდი ჯაფა არც ესპანელებს დასდგომიათ. საბჭოთა ფეხბურთელებს კი ბრძოლა მოუხდათ ჯერ იტალიელებთან, რომლებიც მაშინ ევროპაში უძლიერესებად ითვლებოდნენ, ხოლო შემდეგ — შვედების „ტრე კრუნურთან“. თავის მხრივ უნგრელებმა გათამაშებიდან გამოიყვანეს უელსისა და საფრანგეთის ძლიერი გუნდები.

თასის დასკვნითი თამაშებისათვის მეტოქეები საგულდაგულოდ ემზადებიან. ამჟამად მიმომხილველები იმ აზრს გამოთქვამენ, რომ 17 ივნისის მატჩში დანიელებმა ვერ უნდა გაუძლონ საბჭოთა ფეხბურთელებს. შვეიცარიელ მეგობრებს ... ნაკრების ხელმძღვანელი ლენარტ ნიმანი, რომელიც სხვებზე უკეთესად იცნობს თავისი სამშობლოს მეზობლების თამაშს, პირდაპირ ამბობს, რომ საბჭოთა ფეხბურთელები დანამდვილებით გავლენ ფინალში.

დანიელები, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობენ. მათ იტალიიდან გამოიძახეს „მაშველი ძალები“ — ცენტრალური მცველი ტ. ნილსენი (თამაშობს ქ. ბერგამოს „ატლანტაში“) და ცნობილი ცენტრალური თავდამსმელი, იტალიის ჩემპიონატის ყველაზე უფრო შედეგიანი „ხნაიპერი“ ჰ. ნილსენი („ბოლონია“). არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ დანიელებმა რომის ოლიმპიური ასპარეზობის ტურნირში ვერცლის მედლები მოიპოვეს.

სამაგიეროდ ვერც ერთი მიმომხილველი ვერ კისრულობს რაიმე გარკვეული თქვას უნგრეთისა და ესპანეთის ნაკრებების მატჩზე, რომელიც 17 ივნისს მადრიდში უნდა გაიმართოს. უნგრელების ახლანდელი ნაკრები, როგორც ცნობილია, ჩამოუვარდება „დიდ გუნდს“, რომელიც ამ ქვეყანას 50-იან წლებში ჰყავდა. მწვრთნელი ლაიოშ ბარატი უკანასკნელ წლებში ბევრს მუშაობდა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან და ნაკრებიც აღმავლობის გზას დადგა. ამჟამად უნგრელებს ჰყავთ საკმაოდ სტაბილური დაცვა, საუსხო ცენტრალური თავდამსმელები ალბერტი (№ 9) და ტიხი (№ 10), მაგრამ ბარატიმ ვერ მონახა ვერც გრომჩიჩის შემცვლელი მეკარე და ვერც ლეგენდარული ბოეკის მსგავსი ნახევარმცველი, საინტერესოა, რომ ჟურნალისტების შეკითხვაზე — ვინ მიგიჩნიათ XX საუკუნის უდიდეს ფეხბურთელად, ცნობილმა ნახევარმცველმა, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ყოფილმა კაპიტანმა ბლენჩფლაუერმა უპასუხა: ეიფეფ ბოეკი!

ძალზე ბუნდოვანია ესპანეთის ნაკრების შემადგენლობის საკითხი. მწვრთნელი ხოსე ვილალონგა ყოველთვის უნდობლად იყო განწყობილი ესპანეთის ჩემპიონ „რეალის“ ფეხბურთელების მიმართ. ახლაც მან ნაკრებში ამ გუნდიდან მხოლოდ ახალგაზრდა მარჯვენა გარემარჯ ამანციოს მოუხმო. ესპანეთის ნაკრების ბირთვს უკანასკნელ ხანებამდე მადრიდის „ატლეტიკოს“ მოთამაშეები შეადგენდნენ, მაგრამ მწვრთნელმა მათზეც ხელი ჩაიქნია და მიმართა „სარაგოსას“. ყველა შესარჩევი თამაშნი ესპანეთის ნაკრებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩაატარა, მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ ამ შემადგენლობამ რაიმე წარმატებას მიაღწიოს მძიმე ფინალურ მატჩებში. ამიტომ გამოუძახეს იტალიაში მოთამაშე გამოჩენილ ფეხბურთელებს.

ფეხბურთის სამყაროში ახალი „ციებ-ცხელება“ იწყება.

გ. გამრეკელი.

კომუნისტი

... ბედნიერი ბილეთი

ძვირფასო რედაქციავ! ჩემი ლატარიის ბილეთი ბედნიერი გამოდგა — უნიკალური მხატვრული ნაწარმოები მოვიგე. ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, სად დამედგა. ჩემს ბინაში შესაფერი ადგილი რომ თქვენ შეძლოთ ხელოვნების ... მე ვუფიქრდი დღის სინათლეზე, ბინდში და ღამითაც კი. ... ამ ნაწარმოებმა ყველას „ველური“ სიცილი გამოიწვია.

ო. ფარაფონტოვა, მოანგარიშე.

კიევი.

თქვენი წერილი მივიღეთ ამანათთან ერთად. გულმოდგინედ შეფუთულ ყუთში დიდი დეკორაციული ვაზა იყო. სიტყვებით როგორ გადმოვცეთ მასალის შეგრძნება, ფორმის პლასტიკა, გლუვი და წახნაგოვანი ზედაპირის შეხამება, რაც ვაზას შნოს აძლევს? სულ ორი ფერი გამოუყენებია მხატვარს — შავი და წითელ-მიხაილოფერი, ვაზა კი კობტა გამოსულა. ჩვენ ის მეტად ლამაზი გვეჩვენა. მაგრამ ჩვენ სპეციალისტები არა ვართ, და ამიტომ მხატვარ ბორის ალექსანდრეს-ძე სმირნოვა ვთხოვეთ ეპასუხნა ჩვენი მკითხველისათვის.. აი ეს პასუხი:

ძვირფასო ოლგა ანდრიას ასულო! ვაზა, რომელსაც თქვენი „ველური სიცილი“ და აღშფოთება გამოუწვევია, ახლა ჩემს წინ დგას. მე იგი მომწონს. მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ მე მომწონს და თქვენ არ მოგწონთ. ვაზა, რომელიც ქართველ მხატვარ ნ. ველიაშვილს გაუკეთებია, ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებია. არ დავიმოწმებ იმ ფიფრის ავტორიტეტს, რომელიც ძალიან დიდხანს არჩევდა ნამუშევრებს სრულიად საკავშირო სამხატვრო ლატარიისათვის. შესაძლოა, ყველა მოგება არ იყოს თანაბარი ღირებულებისა, შესაძლოა, მათ შორის არცთუ წარმატებითი ნაწარმოებებიც კი იყოს.

სამხატვრო ლატარია პირველად ეწყობა ჩვენს ქვეყანაში. მისი ამოცანაა ხალხის უაღრესად ფართო მასების კეთილდღეობა გახადოს ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებნი, ისე გაიკეთოს, რომ ისინი ჩვენს სახლში შემოვიდნენ, ყოველდღიურად ... ჩვენს სახლში რომ შემოიჭრება, ხელოვნება პასიური როდი რჩება, იგი ზოგჯერ თვით ჩვენთვის შეუმჩნევლად გვინერგავს სილამაზის სიყვარულსა და მოთხოვნილებას. სამხატვრო ლატარია სწორედ ხელს უნდა უწყობდეს ადამიანებში ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. ამიტომ ნაწარმოებნი, რომლებიც ლატარიაში იქნა გათამაშებული, მაღალი მხატვრული ღირსებისა უნდა იყონ. რა თქმა უნდა, როგორც ყოველი პირველი ცდა, ლატარია დაზღვეული არ ყოფილა შეცდომებისაგან, ხარვეზებისაგან, წარუმატებლობისაგან. ვიმეორებ, ჩვენ სრულებითაც არ გვინდა უდავოდ კარგად გამოვაცხადოთ ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო ბედნიერ ბილეთს მოეტანა თქვენთვის. მაგრამ ამ ვაზის მხატვრული ღირსება მართლაც უდავოა. მოდით ერთად შევეცადოთ გავერკვეთ ამ ღირსებაში.

გაიხსენეთ ვაზის პლასტიკური ფორმა. მხატვარს ძალიან ... კონტურების მღერადი ხაზებისათვის. კრიალა და მჭრქალი ზედაპირების შავი გამა და მოსხმული მოჭიქულობის მიხაკისფერ-წითელი ზოლები ვაზას ძალიან მოხდენილს და ამავე დროს მოკრძალებულს ხდის. მე ვხედავ, რა ლამაზი იქნება ამ ვაზაში ჩადგმული წითელი ყაყაჩოების ან თეთრი შროშანების კონა. ვაზა ხაზს გაუსვამს ყვავილების სილამაზეს. უნდა ითქვას, რომ ფორმის ლაკონიურობით, თავისი ნეიტრალური შავი ფერით ვაზა ყოველ გარემოს შეეხამება. მან შეიძლება დაამშვენოს პატარა საცხოვრებელი ოთახიც, კლუბის ფოიეც, კაფეც და ა. შ. ვაზის ზომა საშუალებას იძლევა დაიდგას იგი მაგიდაზე ან თარეზე, ან პირდაპირ იატაკზე. იგი გამოჩნდება, არ დაიკარგება. რა თქმა უნდა, არ შეიძლება დაიდგას თეთრ მოქსოვილ სუფრაზე. იგი თავის გვერდით ვერ მოითმენს ვერც თიხის ყულაბა-კაკას, ვერც ფაიფურის სპილოებს, ვერც ქაღალდის ყვავილებს. ასეთია სილამაზის თვისება: რაკი მას გაიგებ და რაკი იგი ოთახში თავის შესაფერ ადგილს დაიკავებს, აუცილებლად განდევნის ყოველივე ულამაზოსა და მახინჯს.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ნ. ველიაშვილის ვაზა კლასიკურად მარტივია თავისი ფორმით და, მე ვიტყოდი, ტრადიციულია. იგი მომაგონებს ქართულ ხალხურ ნაკეთობათა სურვილის საუკეთესო ნიმუშებს. ეს არა მარტო ქართულს, არამედ რუსულსაც — გაიხსენეთ კრინკები, და უკრაინულსაც — გაიხსენეთ გლეჩიკები. შავი კერამიკა — ესე იგი უეანგბადოდ გამომწვარი კერამიკა — უაღრესად გავრცელებულია სამხრეთში. ქართული ხალხური ხელოვნებისათვის შავი კერამიკა ძირითადი სახეა კერამიკისა.

მე ვიფიქრე, რომ, შესაძლოა, თქვენ გაგაკვირვათ მოჭიქულობის ზოლებმა. შესაძლოა, ნაღვენთები დაუდევრობად, წუნად გეჩვენათ. მაგრამ რაღაა მაშინ შალებისა და ხალჩების ფოჩები? მატერიიდან გამომძვრალი ძაფები? ან ნახვრეტები რეშელიეს ქარგულობაში?... აი მოსხმული მოჭიქულობაც მეთუნეობაში ფრიად გავრცელებული მხატვრული ხერხია. შეხედეთ კრინკას ან გლეჩიკს, ეგეგა სახლში გკონდეთ. ნუთუ არასოდეს არ გსიამოვნებდათ მათი მოჭიქული ზედაპირის სილამაზე? მოჭიქულობა ყოველთვის ქმნის ჩამოდაბალებულ წვეთებს— ნაღვენთებს. და ეს ოსტატის დაუდევრობა კი არ არის, არამედ ხელოვნების თვით წესით შობილი ფორმაა.

ალბათ ყოფილხართ ხოლმე კიევის სამხატვრო მუზეუმებში. უნდა გითხრათ, რომ უკრაინული მეთუნეობის ხელოვნება, ისევე როგორც ქართული, მთელ მსოფლიოშია განთქმული. და, შესაძლოა, ამ ხელოვნებას უფრო ახლოს რომ გაეცნობით, მის სადა, მოკრძალებულ სილამაზეს რომ გაიგებთ, ხელოვნების იმის მსგავსი ნაწარმოებიც შეგიყვარდეთ, რომელიც დღეს უარყავთ.

მეგობრულად—

ბ. სმირნოვი.

(„იზვესტია“).

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას

მწვრთნელთა სკოლის I კურსზე

მწვრთნელთა სკოლა წარმოადგენს სპეციალურ სამუალო სასწავლო დაწესებულებას სწავლების 3 წლის ვადით, რომლის დამთავრების შემდეგ მსმენელი იღებს საშუალო განათლებას და მწვრთნელის კვალიფიკაციას.

მწვრთნელთა სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება, კარგი ჯანმრთელობა, არანაკლებ II თანრიგი სპორტის არჩეულ სახეობაში.

განცხადებათა მიღება მწვრთნელთა სკოლაში იწარმოებს 31 ივლისამდე (ჩათვლით). განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს: ა) საბუთი განათლების შესახებ (დედანი), ბ) ავტობიოგრაფია, გ) სამედიცინო მოწმობა № 286 ფორმის მიხედვით, რომელიც გაცემული იქნება სკოლის მომსახურე ექიმის ან რაიონული პოლიკლინიკის საუბნო ექიმის მიერ, დ) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ), ე) ის პირნი, რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, წარმოადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნიდან. საბუთი დამოწმებული უნდა იყოს წარმოების ხელმძღვანელის მიერ.

პირადად უნდა იქნას წარმოდგენილი დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერითი ცნობა (სამხედრო ვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები ტარდება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში: ა) **ქართული ენასა და ლიტერატურაში** (წერა და ზეპირი) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის; ბ) **რუსული ენასა და ლიტერატურაში**— წერა (კარნახი) და ზეპირი — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის; გ) **სპორტული მომზადება** — სპორტის ამორჩეული სახეობა, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა.

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხული პირნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიითა და სპორტული ფორმით დადგენილი წესის თანახმად.

ცნობების გაცემა წარმოებს ინსტიტუტის სამდივნოში. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 49.

ინსტიტუტის დღის, საღამოსა და დაუსწრებელი ფაკულტეტის პირველ კურსზე.

ინსტიტუტი ამზადებს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს სპორტის სახეობათა მიხედვით ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

დასწრებულ ფაკულტეტზე სწავლების ვადა 4 წელია, საღამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტზე — 5 წელი.

განცხადება ინსტიტუტში შესვლის შესახებ მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. დახასიათება-რეკომენდაცია ინსტიტუტში შესვლისათვის, რომელიც გაიცემა უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი) პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ (კოლმეურნეთათვის). მოსწავლეთათვის დახასიათება-რეკომენდაციას იძლევიან სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 2. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. 4 ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ), 5. ცნობა შშთ ნორმატივის I საფეხურის ჩაბარების შესახებ, 6. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის ამორჩეულ სახეობაში. 7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმო-დაწესებულების მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ მოხსენებულ კოლმეურნეობაში შრომადღეების რა მინიმუმი იყო დაწესებული ცალცალკე უკანასკნელ ორ წელს ინსტიტუტში შემოსვლამდე.

შენიშვნა: ის პირნი, რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლები 2 წლისა და მიღებული იქნებიან ინსტიტუტში, ვალდებული არიან მეცადინეობის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ შრომის წიგნაკი.

8. სამედიცინო მოწმობა ფორმა 286, რომელიც შევსებული იქნება სკოლის მომსახურე ექიმის ან რაიონული პოლიკლინიკის საუბნო ექიმის მიერ, 9. საღამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტზე შემსვლელები წარმოადგენენ ცნობას სამუშაო და საცხოვრებელი ადგილიდან.

შემომსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს: პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერითი ცნობა (გასაწევევი ასაკის პირნი).

მისაღები გამოცდები ტარდება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში:

ა) ფიზიკა (ზეპირი), ბ) ქიმია (ზეპირი), გ) რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის, დ) ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის, ე) სპორტული მომზადება (სპორტის ამორჩეული სახეობა, ძძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა).

მისაღები გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით, რომელიც გამომცემლობის საშუალო სკოლების პროგრამებიდან.

ინსტიტუტში ჩარიცხული პირნი უ